

ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯია“

დადგენილება #აგ-0851-20
გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის
დადების შესახებ

10.03.2020წ.

ქ. თბილისი

1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი):

ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი კომისია;

2. საქმის განხილვის თარიღი: 2020 წლის 10 მარტი.

3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე:

ლევან იარაული 3/წ 31001003803 მცხეთა სოფ.წილკანი ქ.წამებულის ქ. N4

4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები:

საქმის მასალებიდან ირკვევა, ქ.მცხეთაში რუსთაველის ქ. N70 ლევან იარაული საცხოვრებელ სახლში (აბ. N4110130440 ეთერ იარაული) მრიცხველის შემოწმების დადგინდა, რომ იზოლაციის მეშვეობით მრიცხველში შემავალი ნოლი ჩაწყვეტილია, რაც იწვევს მრიცხველის გათიშვას შესაბამისად არ ხდებოდა მოხმარებულ ელ.ენერჯის აღრიცხვა. მრიცხველისთვის ნოლის მიწოდება ხდებოდა სასლიდან გათიშველის მეშვეობით. აღნიშნულზე შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი N ას008658 სადაც სამართალდამრღვევად მიჩნეულ იქნა ლევან იარაული (3/წ 31001003803) ოქმში მითითებული ახსნა-განმარტების თანახმად, ლევან იარაული არ აღიარებს, სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს. ლევან იარაულის მიერ განხორციელებული (სამართალდარღვევა) წარმოადგენს პირველ შემთხვევას, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მიერ 2020 წლის 11 მარტს ელექტრონულად გამოგზავნილი ინფორმაციით. ლევან იარაულს ეცნობა საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე, თუმცა სხდომაზე არ გამოცხადდა. გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზებისა თუ სხდომის გადადების თაობაზე სამართალდამრღვევს არანაირი განცხადებით არ მოუმართავს. ამდენად, კომისია უფლებამოსილია განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება ზემოაღნიშნულ საკითხზე. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დგინდება სამართალდარღვევის არსებობა/არ არსებობა, თუ პირის ბრალეულობა მის ჩადენაში. განსახილველ შემთხვევაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის საკმარისი მტკიცებულებებია წარმოდგენილი (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი; შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაცია; შეტყობინება. (საქმეში ასევე წარმოდგენილია აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი #A611250 სადაც აღნიშნულია რომ ადგილი ჰქონდა, ელ.ენერჯის დატაცებს) რომელთა მეშვეობითაც დგინდება ლევან იარაულის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹ მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი. სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია ასკ 240-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. დაცულია

ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯია“

ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელის დადების ორთვიანი ვადა.

5. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹ მუხლის 1-ლი ნაწილით; მე-10; 38-ე; 228²-ე; 236-ე; 264-ე; 266-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით; 267-ე; 271-ე; 273-ე მუხლებით; სემეკის 12.08.10წ. #14 და 18.09.2008წ. #20 დადგენილებებით; ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გენერალური დირექტორის 16.09.2009წ. # RU2010009 წესით, 23.05.2019წ. #OR2019028 ბრძანებით და

და ვ ა დ გ ი ნ ე:

6. ლევან იარაული პ/ნ 31001003803 ცნობილ იქნას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ა.ს.კ. 96¹ მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის და დაედოს ადმინისტრაციული სახდელი – გაფრთხილების სახით.

(სამართალდარღვევის ჩამდენი პირის დაახელება)

7. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირისა და დაწესებულების დაჯარიმებას - 15 000 ლარის ოდენობით.

8. სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისა (ექსპერტისა) და თარჯიმნისათვის ასანაზღაურებელი მომსახურების ხარჯების კომპენსაციის საკითხი:

9. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარისათვის მისი ჩაბარებიდან/საჯარო გამოცხადების გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მის: ქ.თბილისი, მიცკევიჩის ქ. №19).

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

6



ნიკო გოგიტიძე
კომისიის თავმჯდომარე